ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №53

2011 წლის 27 მაისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის 56.9 კვ.მ. ფართის საწყისი წლიური საიჯარო ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის 56.9 კვ.მ. ფართის საწყისი წლიური საიჯარო ფასი განისაზღვროს 960 (ცხრაასსამოცი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის 56.9 კვ.მ. ფართის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე